



იპოვეს.



ცეკვა.

ანაკრონის ოღები

I

ჩ ა ნ ბ ი

მსურს ვუმღერო ატრიდებსა,
ხოტბა ვუძღვნა კადმუსის შვილს,
მაგრამ ჩანგი სულ სხვას შესტრფის:
სიყვარულსა ვარდად გაშლილს.

ჩანგს სიმები შევუცვალე,
ჰერკულესსა ვკადრე ქება,
მაგრამ აქაც ჩანგის სიმი
სიყვარულის ცრემლად ღნება.

აჰ, მშვიდობით გმირთა-გმირო,
აწ განვმორღეთ ერთმანეთსა,
ჩანგი შენთვის აღარ იცლის,
შეეწირა ტრფობის ღმერთსა.

დიოგენი.

ალერსი

შენ გენაცვლე ჩაგრულო,
ცრემლი შეგიშრე სხივითა,
ტიტველი მკერდი მოგიროთე.
გულ-საკინძ ფიროზ მძივითა.

სულში ჩაგიძვერ, მწუხარევე,
კენესა მოგბანე წყლულისა,
სიცილი შემოგთავაზე
სიცოცხლე სიხარულისა.

მის. ქავთარაძე.

ჩაგი გული

სუსტი ძალით გავარღვიე
შავი მიწა... მიწა ცივი
და სიცოცხლის მონატრულმა
დავინახე ალთქმის სხივი.

მსურდა ჩემი სიხარული
უხვად სხვაზე გარდამეცა,
მაგრამ მალე... მეტად მალე
განმირისხდა ბედკრულს ზეცა.

შემოდგომის მკარცმა დილამ
დამაფერფლა ვერცხლის თრთვილი,
და დამზრალი ჩამომფურცლა
ვით ყვავილი ახლად შლილი.

გადამღუნა ზამთრის ქარმა,
გადმიტეხა ნორჩი ლერო...
აღარ ვიცი ჩემი სევდა
თუ რა ხმაზედ ავამღერო!..

მ. კრელაშვილი.

ბ-ნ შაბრის ლოკოკინაბი

(ე. ზოლა)

I

ბ-ნ შაბრის უდიდესი წუხილი ის
გახლდათ, რომ შვილი არა ჰყავდა.
მან შეირთო კობტა გოგონა კატინოს
ოჯახიდან, კეკლუცი ესტელი. ტანადი,
თვრამეტი წლის ესტელი ყველას
თვალს უბნებდა. მაგრამ აგერ ოთ-
ხი წელი გავიდა, რაც იქორწინეს და
შვილი კი არ ეყოლა. ბ-ნი შაბრი
ელოდა, ყოველ წელს მოუსვენრად
ატარებდა დროს, გულმოკლული ამა-
ოდ აწყვეტებდა თავს ათს საგონე-
ბელს, თუ როგორ მოველო ვასაქი-
რისთვის.

ბ-ნი შაბრი ძველის-ძველი ვაჭარი
იყო. კარგი ქონებაც შეიძინა. მართა-
ლია, იგი მეტად მშვიდსა და უწყი-
ნარს ცხოვრებას ეწეოდა და მილიონ-
ების შეძენაზე ჰფიქრობდა, მაგრამ
ორმოცდა ხუთ წელს გადააბიჯა თუ
არა, ღონემ უკლო და მუხლებიც უკა-

ნკალბდა. ფულის ფიქრმა და დარ-
დმა მას სახე ისე გადუხება, როგორც
გაცვეთილ ტროტუარსა. იგი ერთგვა-
რმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რო-
დესაც ჰხედავდა თავის უღონობას,
განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამო-
ღენა ქონების პატრონი, ვისაც წლი-
ურად შემოსავალი უკანასკნელი ორ-
მოცდა ათი ათასი ფრანკი ჰქონდა,
ნათლად რწმუნდებოდა, რომ ფულის
მოგება გაცილებით ადვილი საქმე ყო-
ფილა, ვიდრე შვილის მამად გახდო-
მაო.

ამ დროს ლამაზი ქალბატონი შაბ-
რი ოცდა ორი წლის ქალი გახლდათ.
კეკლუცი, ფრიად მიმზიდველი, მწიფე
ატმის სურნელოვნებით საესე ზოქროს
ფერი თმით იგი მომზიდველ სანახა-
ობას წარმოადგენდა. მისი კრილა
ლურჯი თვალები მღორე ტბას
ჰგავდა, რომლის ტალღებშიც თამამად
შეგიძლიანთ მიეშვათ რა წიგნი იკით-
ხოთ. როდესაც მისი ქმარი მოჰყვებო-
და წუწუნს უშვილობაზე, იგი წელში
გასწორდებოდა ხოლმე, კობტად მოქ-

ნილ ტანს გამოიქანდაკებდა, ყელ-მო-
ღერებული ხელს საესე ფერდზე დაი-
დებდა და ცქრილა სიცილით შეჰლი-
მებდა, თითქოს ჰსურს შეეკითხოს:
„და განა ეს ჩემი ბრალია?“ ქ-ნი შა-
ბრი ფრიად ღვთისნიერი ქალი იყო,
კარგა აღზრდილი, ძველი ოჯახის
ტრადიციებით. იგი არავითარ წინაა-
ღმდეგობას არ უწყევდა თავის ქმარს,
ყველაფერში ემორჩილებოდა, ოღონდ
ათასში ერთხელ თუ ნესტოები დაუწ-
ყებდა თრთოლვას, როდესაც თავსა
და მდგომარეობას დაუყვირდებოდა.
ამ დროს მას ქმარი უფრო ეინტერე-
სებოდა, ვიდრე რომელიმე მდიდარი
ვაჭარი.

ამ ოჯახს ერთი კარგი ნაცნობი
ექიმი ჰყავდა, ბ-ნი ვისო. ეს გახლდათ
სქელი, მეტად ხუმარა და საყვარელი
ადამიანი. შაბრი გამოუტყდა თავის
დარღვი. მას შემდეგ ამის თაობაზე
ხშირად ჰქონიათ საუბარი, ექიმი ყო-
ველთვის იმას ეუბნებოდა, რომ დღე-
მდე მეცნიერება ფრიად უძლეურია ამ
ვასაქირს რამე უწამლოსო. „ღმერთო

ჩემო, — ამბობდა ამ დროს შაბრი, — ნუ
თუ შვილი არასოდეს არ მეყოლება“?
მიუხედავად ამისა: ექიმმა მაინც დაა-
იმედა, გულს ნუ გაიტეხო. მართლაც,
ერთ მშვენიერს დღეს, თიბათვის საა-
მო დილას, მან შაბრს მიჰმართა:

— ძვირფასო მეგობარო, უნდა
ზღვაზე წახვიდე საბანაოდ... დიახ,
დიახ, უნდა წახვიდე... და, რაც უფრო
საჯულისხმიეროა, უნდა ბევრიდგან ბე-
ვრი ლოკოკინა სჭამო.


ბ-ნმა შაბრმა სიხარულით ამოისუნ-
თქა.

— ლოკოკინები, ვჭამო? თქვენ ჰფი-
ქრობთ, ლოკოკინები მიშველს?

— რა თქმა უნდა! ასეთი შემთხვე-
ვა ბევრი ყოფილა და კარგადაც
დაბოლოვებულა. გესმის, ყოველ დღე
ლოკოკინა უნდა სჭამო. თუკიბოსაც
მიირთმევ, უკეთესი იქნება.

შემდეგ გამომშვიდობებისას კარგ-
თან შესდგა და ერთხელ კიდევ გააფ-
რთხილა:

— წადი ზღვის პირას, მაგრამ კარი
კი არ ჩაიკეტო. ქ-ნი შაბრი ახალგაზრდა



და გართობა ეჭირვება. გასწით ტრუ- გილში. იქ საუცხოვო ჰაერია.

სამი დღის შემდეგ შაბრი გაუდგა გზას. ოღონდ, როგორც გამო- ცდილმა ვაჭარმა, ცოტა ხელს მოუ- ჭირა და ტრუვილში სულ მეტად ჩას- თვალა წასვლა. იქ მეტად ბევრი და- გვეხარჯებო. განა სულ ერთი არ არის, სადაც შესჭამ ლოკოკინას? რაც შეეხება გართობას, ამას კი ყოველგან იპოვის ადამიანი. მართლაც სამხიარუ- ლოდ ხომ არ აიღებდა მოგზაურის ჯოხს.

ერთმა მეგობარმა მიუთითა ზღვის ნაპირი სენნახარის მახლობლად. ამ პატარა ქალაქმა მალე თავი მოაწყინა ქ-ნ შაბრს. ეს ეს არის ესლა შენდე- ბოდა ეს ქალაქი, ყოველსდგერი მიყ- რილ-მოყრილი იყო, უსწორ-მასწორო ქუჩებით. ოთახიც არ იშოვებოდა. სა- დაც დროებით გაჩერდნენ, მეტად ვი- წრო და დაბალი იყო. აქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ჩასხდნენ ეტლში. ახლა გერანდზე გაიარეს. ეს იყო კვი- რა დილით. უხვმა ბუნებამ ბ-ნ შაბრ- სატ კი გული აუთმაშა, თუმცა მას გემოვნება პოეტური არას დროს არა ჰქონია. გერანდის შეხედულება კუნ- წულას წარმოადგენდა. ის იყო ფეო- დალ დროინდელი ძვირფასი ნაშთი. ესტელმა სიამოვნებით ამოისუნთქა და თვალს ვერ აძლობდა სანახაობათა მრავალ-ფეროვნებით. მაგრამ ეტლი მიჰქროდა, ცხენებმა ერთ კარისკენ შეუხვიეს და ეტლიც აჯაყჯაყდა ქვა- ფეხილზე.

— რა ოღრო-ჩოღრობებია, დასწყევ- ლოს ღმერთმა,—წაიბუტბუტა შაბრმა, —პარიზის მახლობელი სოფლები გაცი- ლებით სჯობიან ამას.

ეტლი სწორედ ეკლესიის გვერდით გაჩერდა ერთ სავაჭრო სახლის წინ. ეკლესიიდან ხალხი გამოდიოდა. ვიდრე ბ-ნ შაბრი ბარგის თავდარიგს გასწევდა ესტელი სეირნობით სტკებოდა. ეკ- ლესიიდან გამოსული ხალხი ათასფე- რად იცვლებოდა. აქ თქვენ ნახავდით თეთრ ხალათიან და გაბერილ შარგ- ლიანებს, ფართო შლიაპიანებს, მოკ- ლე კურტიკით, მწვანე თუ წითელ— ცისფერიანი ტანისაცმელით. მაგრამ ესტელს ერთმა ქალის კეკლუცმა ტანთ- საცმელმა მოსტაცა თვალი. ეტყობო- და, მდიდრის შვილი უნდა ყოფილი- ყო, ლამაზად დახვეული თმა საფეთ- ქლებთან გადაჰკლავდა. წითელ კო- რსეთის ზემოდ წითელივე აბრეშუმის არშია გამოეკრა და ყვავილებით ავესო გული. წელზე ოქროს სარტყე- ლი ლამაზად უქარგავდა ქობის სალ- ტას. ნაოქები კოხტად ჩამოშვებოდნ დაბლა და ქობის პირს წითელი წინ- დებით ტურფა სანახაობას ამთავრებდა.

— მართლა ბრეტანელი უნდა იყვე- ადამიანი, რომ ასე ლამაზად გამოეწე- ყოს,—სთქვა შაბრმა, როდესაც ცო- ლის გვერდით გაჩნდა. ესტელი არ უპასუხებდა. ეკლესიიდან ერთი ყმაწ- ვილი კაცი გამოვიდა, მოხუცი დედა- კაცი მოჰყავდა ხელით. ეს იყო მეტად ლამაზი ახალგაზდა, ამაყის გამომეტ- ყველებითი, ნაზი, ქერა თმით. ფართო მხარ-ბეჭიანი, აბურცებული კუნთებით, წყნარი გამომეტყველებით, ქალის სი- ნარნარით შემკობილიყო. მის ყბებს ოდნავი გინგლიც არ მიჰკარებოდა, ესტელი რომ მას მისჩერებოდა, უეც- რივ ყმაწვილმა მოიხედა. დაინახა და უეცრივ სიწითლემ ასწვა.

— ერთი შეხედეთ,—სთქვა შაბრმა,

ძვლივის ადამიანის სახე არ დაინახე- აი, ეს იქნება ნამდვილი მხედარი.

— ეს ბ-ნი ჰექტორი გახლავთ,— უპასუხა მოსამსახურე დედაკაცმა, რომელმაც ყური მოჰკრა მის შენიშვნას, თავისი დედა მოჰყავს, ოჰ, რომ იცო- დეთ, როგორი წყნარი და პატიოსანი ყმაწვილია.

საუზმის დროს, სასტუმრო სუფ- რაზე შაბრი მოწმე გახდა გახუ- რებული კამათისა. ერთი ადგილობრი- ვი მკვიდრი დიდად აქებდა გერანდის პატრიარქალულ ცხოვრებას, აქაურ ახალგაზდობის საუცხოვო ზნე-ჩვეულე- ბას. მორწმუნე ახალგაზდობა უმანკო ცხოვრებას ეწევა და ყველას მაგა- ლითს უჩვენებს. მაგრამ ერთი უცხოე- ლი ახირდა და სულ წინააღმდეგს ამ- ტყიცებდა: დილას შარა გზაზე შევამ- ჩნიე, აქაური გოგო-ბიჭები ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ან და გაიხედეთ სადგუ- რებში და თქვენ ნახავთ, თუ რა კურ- კურში არიან თქვენი ქებული ახალ- გაზდობაო. მან ისიც კი არ ითაკილა, რომ მღვდლებსა და მოლოზნებშიც ალენიშნა ასეთი თავ-აშვებული ცხოვ- რება. ყველა ამან ისე გააცეცხლა ად- გილობრივი მკვიდრი, რომ სიბრაზით დანა-ჩანგალი მიაგდო გვერდით და აღევლებული გაიჭრა კარზე. შაბრი და ესტელიკი ხმის ამოუღებლივ შეექ- ცოდნენ კერძს. ქმარს თვალები და- ეჭყიტა, ესტელი კი ისე იღიმებოდა, თითქოს ნალაპარაკევიდან სრულიად არაფერი ესმისო.

რომ დრო მოეკლათ, შუადღის შემ- დეგ დაათვალიერეს გერანდი. წმინ- და ობენის ეკლესიაში სამო სიგ- რილე იყო. აქ მათ დაიწყეს სეირნი, თან წყნარად ათვალიერებდნენ ეკლესიის მაღალს თაღებს... შემდეგ მათ შემოიარეს ხუთოღვე ქუჩა. ბ-ნ შაბრს ერთხელაც არ გაუზიარებია მეუღლის- თვის თავისი შთაბეჭდილებანი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. როგორც სა- შუალო საუკუნის ვაჭარი, ისე იყო კე- რძო ცხოვრებაში ჩაფლული და ეს- თეტიური გემოვნებისა არა ესმოდა რა. ქუჩები უდაბნოს წარმოადგენდა. აწვეტიანებული სახურავებით, აქა-იქ ანგელოზთა ქანდაკებით შორთული შენობები თვალ-წინ გიდგენდათ ძვე- ლი დროს მთვლემარე მუხეუმს. ეს- ტელს ბევრი რომანები ჰქონდა ნაკით- ხი. ამიტომ იყო, რომ თვითონ შენო- ბას ცნობის მოყვარეობით ათვალიე- რებდა და ხშირად იგონებდა ვალ- ტერსკოტს.

ქალაქ გარედ უფრო მეტი სიამოვნება იგრძნეს. ძველს ციხის გალავანს ყვავილები შეჰფოთქოდა. შემდეგ მთელს ქალაქს ერთკა საამური ხეი- ვანი, სადაც მზე ვერ ატანდა და ბა- ლახიც ამოსულიყო. აქ მოსეირნე თავს ისე ჰგრძნობს, თითქოს მწვანე ხალი- ჩაზე დადისო. აქა-იქ სადაც მზის სხი- ვი ატანდა, მარჯვედ ჰსერავდა ჩრ- დილს და მცირე კუთხესაც კი საი- დუმალოდ ეალერსებოდა.

— იცი, სულ ათი კოშკი ჰქონია ამ ციხეს,—უთხრა შაბრმა, როდესაც უკან გამობრუნდნენ,—სათითოდ ჩა- მოვთვალე და სწორედ ათი გამოვიდა. გალავანში მხოლოდ ერთი ვიწრო კარი იყო, სადაც ერთი ეტლის მეტი ვერ შევიდოდა. ესტელი შეჩერდა ამ კართან და ფიქრობრეული სტკებოდა კეკლუც პეისაჟის სანახაობით. ეს იყო ძლიერი ბუნების მიერ ატეხილი ქალა, რომლის მეორე მხრით ზღვა აღერსით

ტალღებსა სცემდა. აი, მისი ცელქი ზვირთები, როგორ მოთამაშებენ, მათს იქით უსახლოვრო ცა და ლურჯი ოკე- ანის უბე, საიდანაც სამი იალქნიანი ხომალდი ისე მოსჩანდა, როგორც სა- მი თეთრი მერცხალი.

— აგერ დილანდელი ყმაწვილი,— უთხრა შაბრმა ესტელს,—რა კარგი ყმაწვილია, ზედ გამოჭრილი ლარიევი- ერის შვილია!

ესტელმა პირი მოიბრუნა, მაგრამ ზღვის სივრცეს ისე გაეტაცნა, რომ თავის გარშემო არას ამჩნევდა. ესტე- ლმა ქოლგა ჯოხსავით მოიმარჯვა და ქალაქისკენ გაეშურა. მაგრამ ათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ ქოლგის სახვევი გაუვარდა.

— ქალბატონო, ქალბატონო!—მო- ესმათ ხმა. ჰექტორი იძახდა. სწრაფად მოიბრინა და სახვევი გადასცა ეს- ტელს.

— დიდად გმადლობთ,—უთხრა ეს- ტელმა წყნარი ღიმილით.

ყმაწვილი მეტად ტკბილი და მიმ- ზიდველი გამოდგა. მან ხელად მოი- ნადირა ბ-ნ შაბრის გული. ესეც გაე- ნდო ყოვლისფერში, თუ რად მოსულა აქ. ჰექტორს სიყვითლემ გადაჰკრა და თითქმის ლულულუღით გაუბედა:

— არ ვიცი, აქ რამდენად გაგიმა- რთლდებათ იმედი. ისევ პირიაკს გი- რჩევდით...

და ხელ და ხელ ყოველი ცნობა მი- აწოდა, თუ პირიაკი როგორ ყოვლის- ფერით შემკული იყო. აქ მას ბიძაც ჰყოლია. შაბრის შეკითხვაზეც დაკმა- ყოფილებული პასუხი მისცა, რომ მრავ- ლიდან მრავალი ლოკოკინები იშო- ვებოა.

ესტელი ქოლგას ათამაშებდა. ყმაწ- ვილი კი მალა ახედვას ვერ ჰბედავ- და, როგორღაც მისი იქ ყოფნა აღე- ლეებდა.

— ლამაზი ქალაქი ყოფილა ეს თქვე- ნი გერანდი, ბატონო ჩემო, მიჰმართა ესტელმა ღიმილით.

— დიახ, დიახ,—ლულულუღებდა ჰექ- ტორი,—მეტად ლამაზი ქალაქია.

და თან ისე უყურებდა, თითქოს თვალებით მისი ჩანთქმა განუზრახავსო.

II

ერთ მშვენიერ დილას, პირიაკში დაბინავების მესამე დღეზე, ბ-ნი შაბ- რი გადამდგარიყო ზღვის ნაპირას და სიამოვნებით თვალ-ყურს ადევნებდა ესტელის ბანაობას. მზე უხვად ათბო- ბდა. სუფთად ჩაცმულს, ჭმაღალი ქუ- დით, ხელში ქოლგა დაეჭირა და მო- ჰყუმპალავე ცოლის მხერით სტკებ- ბოდა.

— კარგაა, განა?—შეეკითხა შაბრი, რომ უფრო კმაყოფილება გამოეწვია ცოლში, რა არის შენი ბანაობით მეც ძლიერ ვარ დაინტერესებულიო.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი!. უპასუხა ესტელმა და თამამად გადა- უტურდა ახლა პირქვე.

არასოდეს ბ-ნ შაბრს არ უბანავია. მას მეტად ეზინოდა ცივი წყლისა: ცოლის წინ თავს იმით მართლულობ- და, რომ ექიმისგან სასტიკად მაქვს ზღვაში ბანაობა აკრძალულიო. რო- დესაც ტალღა ცულულუტად გამოშხა- პუნდებოდა და მის ფეხსაცმელებს აე- ძვერებოდა ხოლმე, შაბრი ისე მიუფ- რთხობდა, თითქოს გახლებული მხეცი მოსდევდეს წინაო.

— ჰა, ხომ კარგია?—შეეკითხა ბო- ლოს ცოტა არ იყოს მოწყენილ ხმით. ძიღმა თვალები დაუმიძმა, მთქნარებას

მოჰყვა. მაგრამ ესტელი არ უნა- ბდა. ტალღებზე სტკუსს სტკუსენ- თითქოს წყალში გადავარდნილი კი ყოფილიყოს.

როგორც ცოცხალი ბიჭი, ისე რაობდა ესტელი. მთელ საათო აღარ ამოდიოდა. ეს ჰკლავდა ქმარს, მისი ლოდინით გული უფ- დებოდა და არ იცოდა თუ რა უ პირიაკში ესტელმა სწორედ თ გუნების ადგილი იპოვა. საბანაოს თესს ვეღარ ისურვებდა. მას მხო- ნაპირზე შესვლა ეჯავრებოდა, ხო- როცა დანიშნულ ადგილს გადას- დებოდა და წელამდე წყალში შეს- პავდა, სწრაფად მიეშვებოდა გაჰკრავდა ხელს, რომ სიღრმისა წასულიყო. საბანაოდ კოსტიუმი ვიდან ბოლომდე ერთი ტილოთ. შეკერილი და ლამაზად ჰკვალთავდ ყოველს მის ნაკვთს. განსაკუთრებით უხდებოდა ცისფერი სარტყელი. არშია მოვლენული ტოტები, რომელ- ნიც ტალღებზედ რითმიულად მისდ- ვდნენ ზვირთებს. კრიალა წყალში რ ზინის ხილაბანდით შეკრულ თავს იხ- სავით ჰყოფდა, ხოლო გვერდით ჩამ- ყრილი კულულები ისე მისცურავდნ, სახეს გვერდით, თითქოს წითე- ვარდს. ზღვის თევზები დასდევნებინა ბ-ნი შაბრი აგერ ოციოდე წუთ- იქნებოდა, რაც მის ამოსვლას მო- ლოდა. უკვე სამჯერ-ოთხჯერ დაჰხე- საათს. შემდეგ ვეღარ მოითმინა მოკრთალებით შეჰნიშნა:

— დიღხანს ნუ რჩები, ჩემო კა- გო, ამოდი, თორემ დაიღლები, გა- ყენს...

— როგორ თუ მაწყენს, განა არის რო ჩაველი! თავს ისე ვერ როგორც რძეში.

შემდეგ ზურგზე გადაბრუნდა ასე გულ-აღმა ატივტივებული გა- ტალღებს.

— თუ მოგეწყინა, ნუ მომიცდ უშენოდაც კარგად გავძლებ.

მან წყენით პროტესტი განუცხად თავი გააქან-გამოაქნია, რამე უბედ- რება შეგემთხვევაო. მაგრამ ესტელ იცინოდა, განა რა შეგლას შესძლე- თუნდაც უბედურება შემემთხვესო. დროს ნაპირის მეორე მხარეზე გაიხ- და და გულ-ანაძგერმა დაიკვილა: — შეხედეთ, ვინ არის იქ? წავიდ- ვნახო.

— ესტელ, ესტელ!—უკვილა შა- ბრმა,—თუ ღმერთი გწამს, შორს ნუ მიდიხარ, ხომ იცი, რომ ასეთი ცელ- ქობა მეჯავრება.

მაგრამ ესტელი არ უსმენდა. რა მ- ტი ჯანი იყო, უნდა შეჰრიგებოდ წამოწეული თრთოლვით მიაშტერდ ესტელის თეთრს თავსახვევს, ზვირ- თებში როგორ მიჰქოლოავდა. ერთგვ- რი კმაყოფილებაც კი იგრძნო, რომ ასე ყოჩაღად იქცეოდა. სიამოვნებით ქოლგა ხელში აათამაშა, მეორე ხელ- ში გადინაცვლა.


— რა ეშმაკები დაინახა, რა ვქნა —ბუტბუტებდა შაბრი: აჰა, აი რა. რალაც მოსცურავს. რა უნდა იყოს ქალადის ნაფლეთი იქნება... იქნე- კუნძია?... არა, ინძრევა...

და უეცრივ იცნო ის ეს მოტივტი- ვე საგანი.

— შეხედეთ, ვილაც ყმაწვილ მოსცურავს...

ესტელმაც რამდენიმე გადასმის შე- მდეგ იცნო, რომ მისკენ ნაცნობი ყმა- წვილი მოსცურავდა. ცურაობას უკ-

ქართლის დედა



უწინ.



დღეს.

ლო, ცოტა არ იყოს, შერცხვა კიდევ. მაგრამ ამ მორცხვობის დროს მეორე სურვილმაც იფეთქა და, ვითომც აქ არაფერი იყო, კობხად მკლავების გადასმას უმატა, უკან დაბრუნება ითაკილა, გეზი ზღვის მეორე მხრით დაიჭირა. ისე მიშვებით მისცურავდა, ნარნარი რხევით, თითქოს მეორე მხრით მომცურავ ყმაწვილს ვერ ამჩნევსო. ესეც ეშმაკი ყმაწვილი იყო. ნელ-ნელ უყვლა და განგებ ისე, რომ ესტელსაც კარგად შეეძინა. შემდეგ, როდესაც ესტელმა პირი იბრუნა ნაპირისკენ, ყმაწვილმაც ერთი მოსმით მის გვერდზე ამოჰყა თავი.

— სხვა, ქალბატონო, როგორ ჰგონობთ თავსა?

— ბიჭოს, ეს თქვენ ბძანდებით, ბ-ნო ჰექტორ? — მხიარულად გამოეხმაურა და თან მსუბუქ სიცლით გაუღიმა:

— მშვენიერებაა. ასე კარგად არსად ვგრძნობ თავსა!

მართლაც ჰექტორი იყო. იგი მეტად მორცხვი ყმაწვილი გახლდათ. ზვირთებშიც ისე მოსჩანდა. თითქოს ზღვის ყმაწვილი გაფურჩხულაო. ორიოდ წუთით ასე უხმოდ მოსცურავდნენ. როცა ხელ-ახლად გამოეხმაურნენ, ხმას აუმატეს, რომ უფრო კარგად გაეგონათ. ესტელი სცილობდა რაც შეიძლება მოკრძალებული ყოფილიყო.

— დიდი მადლობელი ვართ თქვენი ბ-ნო ჰექტორ, რომ პირიქით მოგვიყვანეთ... ჩემი მეუღლე აღტაცებულიაო.

— ეს თქვენი ქმარი გახლავთ, არა, მარტოდ მარტო რო ნაპირიდან გადმოგვეყურებს?

ღიან, ის გახლავთ.

ორთავემ ნაპირისაკენ გაიხედეს. შორიდან შაბრი უბრალო მწერსავით მოეჩვენათ. თავისი მხრით შაბრიც მოუსვენრად სულს ვერ ითქვამდა. იქნეულაობით აღელვებული თავს სულ იმას ეკითხებოდა, თუ ამ ოკეანეში ვინ დაუშობილდა, რომ ასე შინაურულად ელაპარაკება ჩემი ცოლიო. მისთვის ეს შეუწყნარებელი ამბავი იყო. იგი აშკარად ამჩნევდა, რომ ორთავე მცურავი ხშირად პირს ერთ-ერთისაკენ იბრუნებდნენ. უეჭველია, ეს ვინმე პარიზელი მეგობარი იქნებაო. მიეცა საგონებელს, ვინ უნდა იყოს, ვისთან

ექნებოდა დამოკიდებულებაო, მაგრამ ვერ მიმხდარიყო ვერას გზითა. და რომ ეს გულის ჯავრი გადაეყოლებინა, ქოლვა მოჰკეცა და ნერვიულად დაუწყო ჰმუჭუნა.

— დიან, ეუბნება ჰექტორი შაბრის ლამაზ მეუღლეს: რამდენიმე დღით ჩამოველ ბიძა ჩემთან. ის აქვე სცხოვრობს, თქვენს მახლობლად რომ კოშკი არის. ყოველ დღე დავედიარ საბანაოდ. იქიდან მოყოლებული აქნობამდინ მოვედიარ და შემდეგ ისევ ვბრუნდები ხოლმე. სულ ორი კილომეტრია აქედან იქნობამდინ. ეს კი ჩემი ვარჯიშობისთვის შესაშინავი რამ არის... მაგრამ თქვენ, ქალბატონო, ყოჩაღი ქალი ყოფილხართ. თქვენსავით მარჯვე ქალი არავინ მინახავს.

— ოჰ, — უპასუხებს ესტელი, ჯერ ერთი ბეწო გოგო ვიყავ რომ დავჰყუმიპალაობდი. ზღვა კარგად მიცნობს. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ.

ნელ-ნელ ერთმანეთს დაუახლოვდნენ, რომ მალლა ყვირილი აღარ მოჰხდომოდათ. ზღვა დილის ნელ-თბილ სხივებში საამურადა სთვლემდა, როგორც უღარდელი პანი. როდესაც კარგა დაუახლოვდნენ, უფრო შინაურულად იგრძნეს თავი.

— მშვენიერი დღეა, — სთქვა ჰექტორმა და ახლა აქეთ-იქით გაიხედა. ერთვან პატარა სოფელზე მიუთითა, პირიქიდან ერთ კილომეტრით იყო დაშორებული, ეს პორტ-ოლუ არისო. შემდეგ სხვა სოფლებზეც მიუთითა. ესტელი პირს იქით იბრუნებდა ხოლმე, საითაც ჰექტორი ხელს გაიშვებდა. ეს მას ახარებდა, რომ შორეული სოფლები ასე ლამაზ სანახაობას წარმოადგენდნენ. როდესაც მზისკენ იბრუნა პირი, თვალი ისე მოეჭრა. რომ უნებურად დაჰხარა თავი. ზღვამ ფერი იცვალა. აქეთ, თვალ-გაუწვდენელ სივრცეთ, იგი უდაბნოს წარმოდგენდა, ნამდვილ საქარას, სადაც მზე ქვიშარს ათასფეროვნად აბრწყვილებს.

— ოჰ, რა კარგია! — წაიჩურჩულა ესტელმა.

ზურგზე გადაბრუნდა და პირით ცას მიაშტერდა, რომ ცოტა დაესვენა. ოღნავაც აღარ ინძროდა. გულს ხელი დაიკრიბა. თავი უკუ აგდო, თე-

ორი მკლავები ზვირთთა თამაშით აუელვარდა.

— მაშ გერანდში დაიბადეთ? — ჰკითხა ესტელმა.

რომ უფრო მოხერხებულად ესაუბნათ, ჰექტორიც ზურგზე გადაბრუნდა.

— დიან, ქალბატონო. ჩემს სიცოცხლეში ფეხი არსად გამიდგამს. მხოლოდ ერთხელ ვიყავი ნანტში.

შემდეგ დაწვრილებით გააცნო თავის ვინაობა, თუ დედის გვერდით რა სათნოებით აღიზარდა, როგორ ბეჯითად ასრულებდა წინაპართა კეთილშობილურ ზნე-ჩვეულებას. მოძღვარს, მის მასწავლებელს, თითქმის იმდენივე შეესწავლებინა მისთვის, რამდენსაც გიმნაზიებში ასწავლიან. ცოტა კატეხიზმი გადაეჭარბებინა, თორემ სხვაფრივ თითქმის ყველა საგანი თანაბრად გაეგო. ესწავლა ცხენოსნობაც, ხმლით ფარიკობა, ტანის ვარჯიშობა. ყველა ამის შემდეგ მას უმანკო სულის გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ქალწული ყოფილიყო. ყოველ კვირას თურმე წირვა ლოცვასაც არ აკლდებოდა. მას საცოლოც გამზადებული ჰყოლია — ბიძაშვილი. რა წამს წლოვანი შევიქნები, ჯვარსაც დავიწერ, ოღონდ ცოტაოდენი უსახურიო.

— როგორ თუ წლოვანიო! და განა ოცი წლის მეტი არა ხართ? ესტელმა განცვიფრებით თვალი გადაავლო ამ უზარმაზარ ბავშვს.

— ერთგვარი დედობრივი გრძნობით აივსო. ბრეტონის ყვავილის ასეთი საუცხოო კვირტი მას მთელს გულის ყურს წარუტაცებდა. ორთავე ზურგით მოტივტივე გამჰვირვალე ცას მიშტერებოდნენ, აღარავითარი ქვეყნიური რამ არ აგონდებოდათ. ვერც კი შეჰნიშნეს, ზვირთთა თამაშით როგორ ერთმანეთს გვერდი გაჰკრეს.

აჰ, უაკრავად!..

მობოდიშების უმაღ ჰექტორმა ჩაიყურყურა და შეცრივ ოთხ ადლით მაინც დაშორდა ესტელს. ესტელმაც პირი იბრუნა და კისკისით მოჰყვა ცურაობას.

— ორ ნავისავით შევიტყუებთ...

შეჰნიშნა იმავე კისკისით ესტელმა. ის კი გაწითლებული დაჰყვებოდა. ნელ-ნელ მოუახლოვდა და მოკრძალებით შეჰხედა ესტელს, რომელიც თე-

ორი თავსაკრავით ზღვის ყვავილის მშვენიერებად მოეჩვენა. ახლა სახის მეტს ვვლარას ჰხედავდნენ. თავსაკრავიდან ზღვის წინწკლები ლოყებზე წურწურით უგორდებოდა, მაგრამ ყველაზედ მომჯადოებელი ესტელის საამური ღიმილი იყო.

ჰექტორი თან და თანობით სიწითლემ ასწვა, როდესაც შეჰნიშნა, რომ ესტელი თავს ისე იქერდა და იცინოდა, როგორც საჭირო იყო მის მოსახიბვლელად.

— თქვენი ქმარი ვგონებ მოუსვენრად არის, — შეჰნიშნა, ჰექტორმა, რომ საუბარი შეეცვალა.

— რა ბრძანებაა, — უპასუხა დამშვიდებით ესტელმა, — მაგას ჩვეულებაა აქვს მოთმინებით მოიცადოს, ვიდრე ბანაობას არ გავათავებ.

ნამდვილად კი ბ-ნი შაბრი მოუსვენრობით კვდებოდა. ოთხ ნაბიჯს გადაადგამდა და ისევ ბრუნდებოდა, ქოლგის ტარს ბზრიალასავით ატრიალებდა, რა არის ცოტა ნიაგი მაინც მოეხვედრებინა აღმურ ანადენ შუბლისათვის. უცნობ მცურავთან ცოლის ასეთი მეგობრული საუბარი გულს უხეტქავდა.

ესტელმა ახლა მოისახრა, შესაძლებელია შაბრმა ვერ იცნო ჰექტორიო.

— ახლავე უნდა დაუუხახო და თქვენი ვინაობა ვაცნობო ჰექტორ.

და როცა ცოტა კიდევ მიუახლოვდა ნაპირს, ესტელმა თავი ასწია და ხმა მალლა გასძახა შაბრს:

— იცი, მეგობარო, ეს ბატონი ჰექტორი გახლავთ, ჩვენ რო გავიცანით.

— აჰა, ის არის? ძალიან კარგია ძალიან კარგი.

შაბრმა ცოტა არ იყოს დამშვიდებით ქუდი მოიხადა და შორიდან სალაში უძღვნა.

— წყალი ხომ კარგია, ბატონო ჰექტორ? — ჰკითხა მოწიწებით.

— უკეთესი არ შეიძლება, ბატონო ჩემო.

შემდეგ ბანაობა განაგრძეს შაბრის წინ. იგი ეხლა ხმის ამოღებას ვერ ჰხედავდა, მორჩილებით დასეირნობდა ნაპირზე და ოღნავი საყვედურით ვერ მიემართნა, რომ ცხელ ქვიშარზე ფეხები საცოდავად ეღრიცებოდა.

ზღვა ნაპირს მეტად გამჰვირვალე

იყო. ოთხ-ხუთ მეტრის სიღრმეზე აშკარად მოსჩანდა ფსკერი და ციცილია კენჭების შუა ამოსული ზღვის ბალახი. ეს გამჭვირვალე ფსკერი ძლიერ ახარებდა ესტელს. წყნარად დასცურავდა, რომ ზვირთები არ აეღელეებინა. შემდეგ ცხვირამდე ჩაყურყურეულაგებული თვალს ადევნებდა ქვიშისა და კენჭების სრიალს, მოწყვეტილ ყვავილთა ცხოველების მისტიურ ცურაობას. მოუსვენარი, ცქრილა ბავშვსავით ხან რას წაავლებდა ხელს და ხან რას. თვითეულ რამის დაჭერაზე სიხარულს სტოკავდა, თითქოს ახალი რამ აღმოეჩინოს:

— უჰ, რამოდენა ლოდი არის! თითქოს ინძრევაო... უჰ, ეს ხომ ხეა... ნამდვილი ხე... ტოტებიანი... უჰ, რამოდენა თევზი სცურავს...

შემდეგ შეჰყვირა:
— რა ვქნა, ეს რაღა არის? როგორ? აქაც ყვავილები? ერთი შეხედვით, თუ თქვენც თაიგული არ გეგონოთ. უჰ, რა ლამაზია, რა ლამაზი!

ჰექტორი ჩაყურყურეულაგდა, მცურავი ყვავილები დაიჭირა, მაგრამ ჰაერზე ამოტანისთანვე თითქოს ხელშივე დაეშალა.

— დიდათა გმადლობთ. რადსწუხდებით? აჰა, ჩემო მეგობარო, შემინახე!

ესტელმა ჰექტორის ნაჩუქარი შაბრს გადაუდო. ორიოდ წუთით კიდევ იცურავდა. ჯერ ააქაფეს ტალღები, შემდეგ მიეშენენ. მწკრივმა ტალღებმა იწყო ლეღა. ჰექტორი ესტელის მიერ გაპოზილ ტალღებს გულს უშვებდა და ერთგვარის სითბოთი ნეტარებდა.

— გეყოფა, ჩემო კარგო, არ გაცივდე, — გაუბედა ერთხელ კიდევ შაბრმა და წუნწკურით ჩამოსული ოფლი ხელცახოცით ჩამოიწმინდა.

— აგერ, მეც ამოვიდვარ... გავათავე...

მართლაც, ნაპირზე ამოვიდა. ჰექტორს უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ ესტელმა ისე მარდათ ისკუბა ნაპირზე, რომ მან განცვიფრებით მხოლოდ თვალები დააქყიტა. ესტელი ცოტა არ იყო, კანკალმა აიტანა, თუმცა ღიმილი ოდნავაც არ წაშლია. ლამაზ ტუჩებზე.

ყმაწვილი კაცი უნდა გამოსთხოვებოდა.

— მშვიდობით გნახოთ, ბატონო, — უპასუხა შაბრმა, როცა ჰექტორი ზღვას დაუბრუნდა. იმ დროს, როდესაც ესტელი თან იცვამდა და თან თვალს არ ამორებდა შორ-შორს ტალღებზე სლიკინით მიმცურავ ჰექტორს, ბ-ნი შაბრი ზრუნვით დაფაცურებდა მის გარშემო და ხელიდან არ უშვებდა მოწყურწყურეულ ჰექტორის მიერ მოგლეჯილ ზღვის ბალახს.

(შემდეგი იქნება)

დ. კ — ძე.

ქვად ქაუღნი

ღამე იყო, ღამე ოცნებით სავსე, მთვარის სხივებით გარემოცული. არ ჩნდა ბნელ წყდიადის სიძლიერე, იგი კის მანათობელს დაემონა, ძლეულ ეყო.

სიანთი მთები რაღაც უცხო, ზღაპრულ სიღრმით გამოიყურებოდნენ, გაეკმინდათ სული და მხოლოდ ღუმით

ლით ამცნევდნენ ერთურთს თავის საიდუმლოებას.

უშბა *) და თვეთნლი დევ მეუფენი სვანეთისა ამაყად აზიდულიყენენ ცისთვალ უწვედნენ სივრცეში და იქიდან, ძირს ბოროტ ადამიანთა ლოდვას წარბ-შეჭმუნებნილი დასცქეროდნენ.

უძლეველთ ჰშვენოდათ, — თოვლყინულთა თეთრი გვირგვინი, რომელიც მთვარის სხივებზე ვერცხლის ფერად ბრჭყიალებდა.

შუაზე სარტყელივით შემოხვევდათ ღრუბელი, ცის ელვა გველის ცეცხლივით იკლანებოდა. გეგონებოდათ, ეს ძლევაშისილი ქურუმნი მსხვერპლს ღმერთთა შესაწირავად ამზადებენ და ბუნებისგან შექმნილ ცეცხლის კოცონი მისთვის გაუჩაღებიათ თავიანთ საღვულ-მკერდზეო...

ძირს მთის ამაყი შვილი ენგური ღრიალით მიიკვლევდა გზას.

თავისუფალი მთის სიო სისინით დასრიალებდა მთათა გულ-მკერდზე და ბუნებას ტკბილ ნანინას ხმით მთის საოცარ ზღაპრებს უამბობდა...

აგერ, ერთ მაღალ სერზე, კლდის ახლოს მოსჩანს მაღალი კოშკი. კლდის თავზე, გამოქვაბულის პირად, კლდის წვერზე დაყრდნობილი სდგას მამაცი ჭაბუკი შავხან. იგი გულის ფანცქალით, მოუთმენლად გაიციქობდა კოშკისკენ, საიდანაც უნდა გამოსულიყო მისი მზე ზურუმში... შეკრთა. მის შორი ახლოს მომავალ ასულს მოჰკრა თვალი:

— ოჰ, ველირსე... მოდის... მოუთმენლად წამოიძახა შავხანმა და მისაგებებლათ მოემზადა.

ასული დაუხსლოვდა, მხოლოდ მისკენ არ იყურებოდა.

ვაჟმა ვერ მოითმინა ლოდინი, ლოდის სისწრაფით მივარდა ქალს, შემოხვია მძლავრი მკლავები და დაეწაფა ასულის ლალის ტუჩებს.

ასულმა შეჰკვილა, სისწრაფით ხელიდან გაუსხლტა და შესძახა:

— წყეულო ქმნილებავ, — შესძახა მრისხანედ, — გსურს ეხლავ გაგაქრო? შავხანამ უკან დაიხია და განცვიფრებით წამოიძახა:

— ტყის ქაჯი... ავი სული... დუმილი ჩამოვარდა.

— ჰა, ჰა, ჰა! — გადიკისკისა ბოლოს ტყის ქალმა:

— ჭაბუკო, რისთვის სდუმხარ? ნუ თუ სიკვდილმა შეგაშინა? არა, ნუ გეშინია, არ მოგკლავ. შენმა აღზნებულმა კოცნამ დასძლია მრისხანებას... მე ჯერ არ მინახავს ვაჟის ტუჩები... ვიგძენ ამ კოცნაში რაღაცა ძლიერი ძალა... უნდა გამაძლო ამ კოცნითა...

მთვარის სხივი ქალს მომხიბვლად სახეზე უკრთოდა და ასულის მშვენიერებას აორკეცებდა. ვაჟი თავდავიწყებას ეძლეოდა, გონება ეკარგებოდა.

— ჰა, ჩქარა! არა მცალია, ხეში უნდა ჩავიდე, ტყეს უნდა შეუერთდე...

ვაჟს გრძობა ეკარგებოდა და უნებურად ემონებოდა მბრძანებელს. გამოურკვეველ ლულულღით მის მკერდზე მიიყრდნო, გაშმაგებით ჰკოცნიდა და თან ეფიცებოდა სიყვარულს, ერთგულებას, მონობას...

ასულმა მიახედა მთვარისკენ და ჰკითხა:

— ხომ ლამაზია მთვარის მკერდი?

*) უშბა და თვეთნლი უმთავრესი მწვერვალებია სვანეთის მთებისა.

უაპ ზღვაზე

ითელება ტალღა ჩქარი, ორთქლ-მავალი მიჰქრის ზღვაზე გული კენისის განშორებით საქართველოს დანახვაზე..

მოგონება ჰბასრავს გულსა, სევდის ცრემლი მიწვავს თვალებს, ვეღარ ვხედავ საქართველოს, ვერც მყინვარის თეთრ მწვერვალებს..

ასრიალდა ცელქი ტალღა ჩუ! კენესა მშობელ ქარის შავი ნისლი, შავი ფრთებით, სამშობლოსკენ მიიჩქარის ჰსურს დასტიროს, დაჰქვითინოს, დაეფრქვიოს ცრემლად თვალზე და ჩაუქროს ფიქრი წმინდა — სანეტარო მომავალზე...

გ. ლეონიძე.

— ჰო, ლამაზია... ლამაზია.

შემდეგ გადიძრო მკერდზე სამოსი და ვაქს მიუშვირა.

— ამას სჯობია მისი გული?

— ოჰ, არა არა... ლულულღი წამოიძახა ვაჟმა,

— ჰა ეს ჩემი ოქროს ნაწნავები უმფრო ლამაზია თუ მთვარის სხივები?

— შენი ნაწნავები... შენი ნაწნავები.

— ჩემი კოცნა უმფრო ტკბილია თუ სიცოცხლე?

— ოო, შენი კოცნა... შენი კოცნა...

მთვარე კვლავ სიდიადით ჰვენდა სხივებს ამ ორს სრულიათ განყოფილ პიროვნებათ, რომლებიც ეხლა წუთიერ კოცნას ერთათ შედუღებულ სიყვარულის გამომხატველ ქანდაკებათ გადაექცია...

ფრთხილად გაიღო კოშკის კარი, საიდანაც ფეხ-აკრებით, ჩუმთა და მარდათ, როგორც სიო, გამოვიდა მშვენიერი ზურუმში. იგი სიჩქარით გაეშურა დანიშნულ ალაგისკენ, სადაც თვისი სატრფო ეგულებოდა. მას უნდოდა ჩუმად მიჰარებოდა თავის სატრფოს. და მოულოდნელად კეკლუცად გადახვეოდა. გამოქვაბულს მეორე მხრით შემოუარა, ჩუმად მიხიხდა და გაიჭვირტა იქით, საითაც შავხანა ეგულებოდა.

ზურუმში შეკრთა. მის წინ ორი ადამიანის სული ჰკრთოდა. განცვიფრდა. თვალებზე ხელი მოისვა, თითქოს არ სჯეროდა, რასაც უცქერდა. მთვარის სხივებზე კარგად გააჩნია შავხანის სახე, რომელიც, ტრფობით აღზნებული ვინაც უცხო ქალს ჩაჰკონებოდა. ელდა ნაცემმა ზურუმმა უკან დაიხია და შორი-ახლოდან იქვიანად დაუწყო ყურება. თან და თან გამოერკვა და საშინელ ბრაზით აღივსო მისი გული. მიხვდა, შავხანმა ულატა და გასცვალა სხვაში, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რას ნიშნავდა, რომ თავის დანიშნულ ალაგზე სხვას ეტრფოდა.

— ო, შე საძაგელო მოლაღატვე, ნუ თუ ლალატი არ მაქმარე, — რომ სასაცილოთ ამივდე? — მე ალაგი დამინიშნე, დამიბარე და იქ კი ჩემ გულის გასახეთქათ, სასაცილოდ ასაგდებად სხვას ეტრფიალები? ოჰ! არ იფიქრო, ეგრე დამიჯაბნო შე საძაგელო, ჩემ შერცხვენას არ შეგარჩენ; წამოიძახა თავისთვის ბრაზ მორეულმა ზურუმმა.

— ლალატი, ლალატი... სხვაში გამცვალა, ჩაუფურჩულა მას მთის კეთილმა სიომ.

— ოჰ, შენ მაინც მომცილდი საზიზღარო, გულს ნუ მიკლავ, მეც ვხედავ, რაც ხდება, შესძახა სიოს და ხელის გაქნევით მოიშორა.

ზურუმში ცახცახით შესცქეროდა ქალ-ვაჟის ტრფიალებას და თანდათან ყელში ბოღმა ებჯინებოდა...

— უუ, უუ, უუ, გაისმა უცებ კოტის შემზარავი ძახილი და ბუნებას შავბნელ ჟრუანტელად დაუარა საშინელმა ხმამ.

ვაჟი შეკრთა, გონზე მოვიდა შემინებულმა წამოიძახა:

— ახ, ეგ კოტის შემზარავი ხმაა... რაღაც უბედურებას მიქადის...

— დიახ, გიქადის მოლაღატვე, და ამ სიტყვებით ხანჯალით ხელში ზურუმში შავხანისკენ გაექანა.

ტყის ასულმა დაიკვილა:

— წყეულნო, ნუ თუ თქვენ გიყვარდათ ერთმანეთი? უძრავ იყავით, ვითარცა ეგ კლდე და უტყვი — ვითარცა ქვა.

ქალ-ვაჟი მყის გაქვავდა.

ტყის ასულმა კი გადიკისკისა, გადაეშვა კლდეზე და მთის ცელქ წყაროს შეუერთდა თეთრ ქაფად გადაქცეული...

მთებმა ქვითინი მორთეს და გლოვის ნიშნად შავ ღრუბლების ძაძა მოისხეს.

მთვარეც მიიმალა.

ა.მ. პირველიძე.



ბელეფონთან.

— ჯაბარო...
— მესმის, ბატონო...
— ოლონდაც ფქვილი იშოვე და ქოთამს ნუ მოერიდები, მოხსენი კასა მართველობის.
— მესმის ბატონო.
— ჯაბარო...
— ბატონო ჩემო...
— რაც შეგროვილია, სწრაფად მიშველეთ გამოქეულთა სასარგებლოდ, ყარსისა, ზანგიზურისა და ეჩმიძინის კომიტეტებს. რაც შეეხება ბათუმის ოლქს, კასაში ფული აღარ გვრჩება, იზრუნეთ, შეგროვდეს რამე.
— მესმის, ბატონო.